ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის

ანგარიში

2024 წელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშს. წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუზველზე. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ თითოეული სფეროს მიხედვით.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო დაზუსტებული მოცულობა 20 874 000 ლარით განისაზღვრა რაც 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით 580 400 ლარით არის გაზრდილი.

ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 21 547 076 ლარი. გეგმა შესრულებულია 105.8 %-ით.

მათ შორის:

გადასახადებიდან (დღგ, ქონების გადასახადი) მიღებული შემოსავლები 9 979 806 ლარი.

სხვა შემოსავლებიდან მიღებული 1 417 640 ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტები მიღებულია 9 565 157 ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან (მუნიციაპლური ქონების პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავალი 584 472 ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 98 %.

გადასახდელები ჯამში 20 425 314 ლარი პრიორიტეტების მიხედვით 2023 წლის განმავლობაში გადანაწილდა შემდეგი მოცულობით:

- პირველი პრიორიტეტი ,,მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები“ დაფინანსდა 4 814 216 ლარით, პროცენტულად მთლიანი ბიუჯეტის 23%-ს შეადგენს.

- მეორე პრიორიტეტი ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსდა 7 162 822 ლარით, რაც მთლიანი ბიუჯეტის 36%-ს შეადგენს.

- მესამე პრიორიტეტი ,,დასუფთვება და გარემოს დაცვა“ დაფინანსდა 1 674 036 ლარით.რაც მთლიანი ბიუჯეტის 8,2%-ს შეადგენს

- მეოთხე პრიორიტეტი ,,განათლება“ დაფინანსდა 2 523 390 ლარით,რაც მთლიანი ბიუჯეტის 12,3%-ს შეადგენს

- მეხუთე პრიორიტეტი ,,კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი“ დაფინანსდა 2 258 566 ლარით, პროცენტულად მთლიანი ბიუჯეტის 11,1%-ს შეადგენს

- მეექვსე პროიორიტეტი ,,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა“ დაფინანსდა 1 962 072 ლარით, რაც მთლიანი ბიუჯეტის 10%-ს შეადგენს

- მეშვიდე პრიორიტეტი ,,ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“ დაფინანსდა 30 210 ლარით.

სარეზერვო ფონდიან დაიხარჯა 30 ათასი ლარი სოციალური მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული იქნა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიზანია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

ბუღალტრული არიცხვის წარმოებისას გამოყენებული იქნა პირველადი აღრიცხვის გარე და შიდა ფორმები, სამეურნეო ოპერაციების მოხდენის ფაქტის დასადასტურებლად, ბუღალტრული აღრიცხვა იწარმოებს დარიცხვის მეთოდით.

2023 წელში დადგენილი წესით წარადგენილი იქნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, საგადასახადო და სტატისტიკის ორგანოში დოკუმენტებს იმ საკითხებზე, რომლებიც სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება.

2023 წელს ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფით (შემდგომში - ელექტრონული სისტემა), რომელიც იძლევა მონაცემებს როგორც ანალიზურ ასევე სინთეზურს, სამეურნეო ოპარაციებზე.

2023 წელს ჩატარდა ინვენტარიზაცია, აღებული იქნა ანალიზური მონაცემები მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების და შედარებული ფაქტიურ აღწერასთან.

მუნიციპალიტეტებში, მათ შორის ბაღდათში ბუღალტრული აღრიცხვის ახალ საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვასთან დაკავშირებით, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული სათეფას მიერ და დღესაც გრძელდება აღნიშნული თანამშრომლობა.

სოციალური სფერო

გასულ წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური ბიუჯეტის ფარგლებში სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა 22 მიზნობრივი პროგრამა განახორციელა და 2387 მომართავა დააკმაყოფილა.

როგორც მომართვიანობის, ასევე ხარჯების ანაზღაურების მიხედვით ყველაზე დიდი წილი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსების პროგრამებზე მიემართება. წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების 686 და მედიკამენტების შეძენის 493 მომართვა ანაზღაურდა.

ვეტერანთა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით სოციალური ბიუჯეტი სამ სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს, რომლის საშუალებითაც ყოველწლიური ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებძოლების 8 ოჯახს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 186 -მა ვეტერანმა და ერთი გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს დახმარება გაეწია დაკძალვის ხარჯების დანადაფინანსების მიზნით.

დაკრძალვის ხარჯები გაიცა ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამი უჭირისუფლო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

გარდა ვეტერანებისა, ყოველწლიური ერთჯერადი დახმარებით სარგებლობენ აგრეთვე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე პირები. 2023 წელს 9 პირმა ისარგებლა აღნიშნული დახმარებით.

ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანი ნაწილობრივ აუნაზღაურდა 12 ოჯახს, 25 უსახლკარო ოჯახს დაუფინანსდა ბინის ქირა და სტიქიური ან სხვა ობიექტური გარემოების გამო დაზიანებული საცხოვრისების შეკეთების მიზნით დახმარება გაეწია 30 ოჯახს.

თანადგომის საჭიროების მქონე 460 ოჯახზე გაიცა ერთჯერდი ფინანსური დახმარება.

სამწუხაროდ, ერთით შემცირდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები დღეგრძელი მოქალაქეების რიცხვი და 2023 წელს ასი წლის ასაკს გადაცილებული 5 პირი დასაჩუქრდა 500 ლარით.

მოგეხსენებათ, ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება შეჭირვებული მოქალაქეებისათვის ყოველდღიური უფასო სადილით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ მომსახურებას ყოველდღიურად 60 ბენეფიციარი იღებს. მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა შევსებისა და ჩანაცვლების მიზნით იწარმოება პროგრამაში ჩართვის მომლოდინეთა სია. საერთო ჯამში გასულ წელს ამ პროგრამით 77 -მა პირმა ისარგებლა.

შშმ პრთა მხარდაჭერისა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით სოციალური ბიუჯეტის ფარგლებში არაერთი ღონისძიება განხორციელდა: ყოველწლიური დახმარება გაეწია 48 შშმ ბავშვს; ჰიგიენური საშუალებები დაუფინანსდა გადაადგილებაშეზღუდულ და ეტლით მოსარგებლე 27 შშმ პირს. სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურეობით იქნა უზრუნველყოფილი 9 ბენეფიციარი; სამკურნალო მომსახურების ხარჯები დამატებით დაუფინანსდა 4 შშმ პირს ხოლო ტრანსპორტირების ხარჯები აუნაზღაურდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 21 პირს. სისტემატურად ფინანსდებოდა ასევე, პარასპორტსმენთა ყოველკვირეული ტრანსპორტირება სპორტდარბაზში;

არასამთავრობაო ორგანიზაციასთან ,,საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ თანამშრომლობის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრები 20 გადაადგილებაშეზღუდული პირი უზრუნველყფილი იქნა შშმ პირის მექანიქური ეტლით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასულ წელს მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა შინმოვლისა და პერსონალური ასისტენტის მომსახურების საპილოტე პროგრამები, რომელიც ასოციაცია ,,ანიკას“ ინიცირებით დაიწყო 2022 წლის ოქტომბრის თვეში.

რაც შეეხება ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერ პროგრამებს, მეორე და შემდგომი შვილის შეძენის გამო სულ 52-მა ოჯახმა მოგვმართა. 11 ერთეულით გაიზარდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი და მათი რაოდენობა 66-ს შეადგენს.

სამწუხაროდ, გაზრდილია აგრეთვე, ობოლ ბავშვთა რაოდენობა. შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული ფინანსური დახმარება გასულ წელს 116 ობოლ ბავშვზე გაიცა. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 8 ბავშვს ნაწილობრივ დაუფინანსდა აბილიტაციის კურსი. გაძლიერების პროგრამაში ჩაერთო სოციალური მუშაკის მიერ შეფასებული 10 ბავშვიანი ოჯახი;

78 შეჭირვებულ და უმწეო ოჯახს ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის მიზნით მიეწოდა საშეშე მერქანი.

ინფრასტრუქტურა

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით, მუნიციპალიტეტს რგპფ-დან 2023 წელს 14 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 5 013 393 ლარი. (ცხრილი #1).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხში ე. წ. სანიკიანების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში ე. წ. ჩიქვინიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში ე. წ. დევიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე. წ. კოხოძე-შალამბერიძეების ს/გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ფერსათში ე. წ საწურბლიის ს/გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ფერსათში ე. წ გულეიშვილების ს/გზის რეაბილიტაცია ;

ქ. ბაღდათში თბილისის ქუჩის შესახვევის გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია;

სოფელ ზედა დიმში ე. წ. ხიზანეიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

სოფელ დიმში ე.წ. ეწრის საუბნო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბაღდათში მ. კოსტავას ქ-ზე საფეხბურთო სტადიონის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა და ტროტუარის რეაბილიტაცია;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დაფენილში გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;

ქ. ბაღდათში ვ. გუბელაძის ქ-ის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია;

ქ. ბაღდათში ა. შანიძის ქუჩის შესახვევის გზის სავალი ნაწილის რებილიტაცია;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ე. წ. ენდელაძეების ს/გზის რეაბილიტაცია

4 997 663 ლარის სახელშეკრულებო ღირებულებით განხორციელდა 8 952 გრძ.მ. გზის ასფალტ/ბეტონით და რკ/ბეტონით რეაბილიტაციის და 85 გრძ.მ. გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. ყველა პროექტი დასრულებულია და საკასო შესრულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 100 %.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ შესაბამისად, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაფინანსდა

სოფ. დიმის საჯარო სკოლის შენობის სახურავის სრული რეაბილიტაციის და ფასადის ნაწილის რეაბილიტაციის პროექტი 149 688 ლარით (ცხრილი 2).

2023 წელს განხორციელდა 38 წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა დაფინანსების წყარო იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 346 000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის 28 000 ლარის თანადაფინანსება. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, მოსახლეობამ შეარჩია პრიორიტეტები, რომელთა ნუსხაც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 4 ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ღირებულებით 128 632 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2022-2023 წლებში გამოყოფილი 774 774 ლარით, სოფ. ხანში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1854 გრძ.მ. საუბნო გზებს და სანიაღვრე სისტემებს.

50 000 ლარზე მეტი სახელშეკრულებო ღირებულების ობიექტებზე, სამუშაოების განხორციელების პროცესის ზედამხედველობას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2023 წლის 17 იანვრის #23 ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფდა შ.პ.ს. „ჯეოექსპერტი“, რომლის მოვალეობაც იყო სამშენებლო სამუშაოების მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და სამუშაოების მოცულობების ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობის კონტროლი, ასევე ინსპექტირების ანგარიშების (დასკვნა) მომზადება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტი აფორმებდა სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2023 წელს ინფრასტრუქტურული პროექტები ასევე განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #116 განკარგულებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტს, 2023 წლის ძლიერი ქარის და თოვლის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად გამოეყო 685 000 ლარი. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში დაზარალებულ ოჯახებს გადაეცა სახურავების აღსადგენი სამშენებლო მასალა, ოთხ ოჯახს აუშენდა ხის კოტეჯები, გამოიცვალა ქ. ბაღდათის და სოფ. დიმის მინი სპორტული მოედნების ხელოვნური ბალახის საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. დიმის კულტურის ცენტრის და სოფ. დიდველას საბავშვო ბაღის შენობების სახურავებს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოების პარალელურად ეტაპობრივად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტუარული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ზემოთხსენებული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილების სახით:

ცხრილი #1

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან შენობების რაოდენობა)	მიმწოდებელი	შენიშვნა
	რგპფ				
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხში ე. წ. სანიკიანების საუბნო გზის რეაბილიტაცია	711 770,00	1646	შ.პ.ს."ჯ და ჯ" ს/კ 221269080	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი. დასრულებულია
2	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში ე. წ. ჩიქვინიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	657 000,00	1000	შ.პ.ს. ,,მეკა" ს/კ 431946754	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი. დასრულებულია
3	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში ე. წ. დევიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	422 222,00	1114	შ.პ.ს. ,,Georgian Build"	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი. დასრულებულია
4	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე. წ. კოხოძე-შალამბერიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	466 043,00	729	შ.პ.ს.,,მეკა" ს/კ 431946754	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი. დასრულებულია
5	სოფელ ფერსათში ე.წ საწურბლიის ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	153 390,00	327	შ.პ.ს."ჯ და ჯ" ს/კ 221269080	დასრულებულია
6	სოფელ ფერსათში ე.წ გულეიშვილების ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	131 790,00	229	შ.პ.ს."ჯ და ჯ" ს/კ 221269080	დასრულებულია
7	ქ. ბაღდათში თბილისის ქუჩის შესახვევის გზის	85 480,00	193	შ.პ.ს."ჯ და ჯ" ს/კ 221269080	დასრულებულია

	სავალი ნაწილის რეაბილიტაცია				
8	სოფელ ზედა დიმში ე.წ. ხიზანეიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია	154 230,00	176	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი" ს/კ412716226	დასრულებულია
9	სოფელ დიმში ე.წ. ეწრის საუბნო გზის რეაბილიტაცია	755 711,00	1766	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი" ს/კ412716226	დასრულებულია
10	ქ. ბაღდათში მ. კოსტავას ქ-ზე საფეხბურთო სტადიონის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა და ტროტუარის რეაბილიტაცია	164 120,00	60	შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ს/კ 412676322	დასრულებულია
11	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დაფენილში გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები	60 880,00	25	შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ს/კ 412676322	დასრულებულია
12	ქ. ბაღდათში ვ. გუბელაძის ქ-ის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია	171 079,00	533	შ.პ.ს. ,,პალადა" ს/კ 205180472	დასრულებულია
13	ქ. ბაღდათში ა. შანიძის ქუჩის შესახვევის გზის სავალი ნაწილის რებილიტაცია	95 807,00	215	შ.პ.ს. ,,პალადა" ს/კ 205180472	დასრულებულია
14	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ე.წ. ენდელაძეების ს/გზის რეაბილიტაცია	968 141,00	1024	შ.პ.ს. ,,პალადა" ს/კ 205180472	დასრულებულია
		4 997 663,00			

ცხრილი #2

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	სკოლების რეაბილიტაცია			
1	სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის საჯარო სკოლის შენობის სახურავის სრული რეაბილიტაცია და ფასადის ნაწილის რეაბილიტაცია	149 688	შ.პ.ს. ,,კა"	დასრულებული

ეკონომიკა

ქონების მართვა

საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მართვა განკარგვას და ეფექტურ გამოყენებას. ხელს უწყობს ქონების მართვა-განკარგვისთვის მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. 2023 წლის განმავლობაში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა შეადგინა 532 925,27 (ხუთასოცდათორმეტი ათას ცხრაასოცდახუთი და ოცდაშვიდი) ლარი. მათ შორის, ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 474 694 (ოთხას სამოცდათოთხმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარს, რაც 5.48 %-ით აჭარბებს 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების ოდენობას. 2023 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული იქნა 17 ელექტრონული აუქციონი (მათ შორის, იჯარის აუქციონები). აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, პრივატიზებული იქნა 10 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის 3 ერთეული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 53361კვ.მ; 2 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 360 კვ.მ., 5 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზედ მდებარე შენობა ნაგებობები ჯამური ფართობი 3815 კვ.მ, 2 დემონტაჟი , 1 სპეცტექნიკა და 1 ავტომობილი.

2023 წლის განმავლობაში სულ მოქმედი იყო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის 40 ხელშეკრულება. აქედან, 2023 წელს გაფორმებულია 17 ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავლებში სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 58 231,27 (ორმოცდათვრამეტი ათას ორას ოცდასამი და ოცდაშვიდი) ლარი.

2023 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმული იქნა საკითხი და მუნიციპალიტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საკუთრების უფლებით გადმოცემული იქნა როგორც სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული, ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი ქონება (6 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 6144 კვ.მ.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)ი.პ-ებზე მათი დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისთვის საჭირო ქონების გადაცემა (უძრავი/მოძრავი ქონება);

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნულ სატყეო სააგენტოს სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის ფორმით გადაეცა 30.10.35.216(ფართ 611.0კვმ) და 30.10.35.234(ფართით 2394 კვ.მ) საკადასტრო კოდებზე მდებარე უძრავი ქონებები აღნიშნულ ტერიტორიაზე სატყეოს საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით.

ფიზიკურ პირს ნუგზარ ხათრიძეს საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა სოფელ ფერსათში 30.12.31.153 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება(შენობა ნაგებობა ფართით 104.8).

ეკონომიკური განვითარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურად

მუშაობდა: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, კერძო სექტორის გაძლიერების, სამეწარმეოო უნარების გაუმჯობესების და ინვესტიციების ზრდის მხარდასაჭერად საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან გარე დაფინანსების მოძიების და პარტნიორული პროექტების განხორციელების მიმართულებით. კერძოდ:

2023 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტის „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში“ ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტი წარდგენილი განაცხადის საფუძველზე შეირჩა პროექტის განხორციელების ერთ-ერთ არეალად, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრი, სადაც დაბრუნებულ მიგრანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ.

2023 წელს IOM პროექტის „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში“ ჩაატარა სათემო კვლევები და სოფელი როხი შეირჩა სათემო პროექტის განსახორციელებლად.

2023 წელს ფონდი „აფხაზეთის“ მხარდაჭერით მიგრანტების ოჯახის წევრები გადამზადდნენ ბიზნეს უნარებში და 5 მათგანს გადაეცემა საწარმოო ინვენტარი.

2023 წლის განმავლობაში ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე, დაფინანსების შესაძლებლობებზე კონსულტაცია გაეწია დაახლოებით 20 ზე მეტ დაბრუნებულ მიგრანტს და მათ ოჯახის წევრებს აქედან სულ - 200 ადამიანს, დამწყებ/მოქმედ მეწარმეს, მოხდა მათი ინფორმირება და გადამისამართება კონკრეტული პროგრამების მიმართულებებით. ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ ტექნიკური მხარდაჭერა გაეწია 40-ზე მეტ მეწარმეს ბიზნეს იდეების-გეგმების მომზადების მიმართულებით.

2023 წელს გარე დაფინანსების მოძიების მიმართულებით იდენტიფიცირებული იქნა მუნიციპალიტეტის დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობები. დაინტერესებულ პირების ჩართულობით მომზადდა და გაიგზავნა 1 განაცხადი ლაბორატორიის მოწყობაზე, რომელიც პირველივე ჯერზე იქნა მოწონებული და მაღალი ქულით შეფასებული.

2023 წელს მუნიციპალიტეტმა კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის REC-ის ტექნიკური მხარდაჭერით დაასრულა მუშაობა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით მუნიციპალური სამოქმედო გეგმის SECAP 2023-20230 – ის შემუშავებაზე, უკვე დაწყებულია განხორციელების და მონიტორინგის პროცესი. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა „მერების შეთანხმებას“ და შეუერთდა ევროპულ კამპანიას/მიზანს რათა ნებაყოფლობით შეამციროს CO2-ს გამოფრქვევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 30%-ით 2030 წლისათვის. გეგმის მიზანია სათბურის აირების ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ენერგოეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ითვალისწინებს ღონისძიებებს არამუნიციპალური სექტორებისთვისაც.

2023 წელს მუნიციპალიტეტმა დაასრულა მუშაობა „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP)“-ის მიმართულებით, რომელიც დადგენილი წესით წარდგენილი იქნა და დამტკიცდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს განკარგულებით N გ-67. 67232372, რომელიც ატვირთლია The Covenant of Mayors Office - Europe Office-ის მთავარ ვებ გვერდზე https://mycovenant.eumayors.eu/, ეს იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ექნება ბაღდათის მუნიციპალიტეტს სანდო პარტნიორების და დაფინანსების მოსაძიებლად.

2023 წელს მუნიციპალიტეტის მერიამ, სახელმწიფო პროგრამებში ჩართვისა და დაფინანსების მოძიების მხარდასაჭერად, განახორციელა დაინტერესებული პირებისა და მოქმედი მეწარმეების საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებისა და ვორქშოფების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც დაფინანსებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების შესაძლებლობებზე ინფორმაცია მიეწოდა 200-მდე დაინტერესებულ პირს.

2023 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტი გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ს მიერ, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წევრი მუნიციპალიტეტებს შორის საპილოტე ინიციატივის განსახორციელებლად.

2023 წლის ბოლოს საერთაშორისო კომპანია ARUP -ის ტექნიკური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ჩართულობით დასრულდა „ ახალი თაობის“ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადება.

2023 წელს GIZ თან დასრულების ფაზაშია ლაბორატორიის კონცეფციაზე მუშაობა და უახლოეს მომავალში წარედგინება დონორს

2023 წელს UNDP-ს დაფინანსებით, PMSG-ს ტექნიკური მხარდაჭერით, განყოფილების კორდინაციით შემუშვებულია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი.

ტურიზმი

მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს ბაღდათის ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციად ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში დასაქმებული სუბიექტების ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ლოკაციებით დაინტერესების გაზრდისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ხორციელდება აქტიური თანმშრომლობა სხვადასხვა ტურისტულ ორგანიზაციებთან.

ქვეყნის შიგნით და გარეთ მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა ხელშეწყობის მიზნით:

11-15 თებერვალს მონაწილეობა მივიღეთ ქ-მილანში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში. რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციასა დ ტურისტული რესურსე4ბი პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზრობაზე.

2023 წლის 20 მაისს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა, მცირე ოჯახური მარნებოს გილდიამ და კურორტმა საირმემ მონაწილეობა მიიღეს ბათუმში ტურიზმისა და სასტუმროს აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენაში - EBIT 2023.

26 - 27 აგვისტოს ქ. ქუთაისში DMO იმერეთის მიერ ორგანიზებულ ხალხური რეწვის იმერელი ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობაში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს ბაღდათელმა ოსტატებმა;

დამზადდა 500 ერთეული საინფორმაციო ბროშურა. სოციალურ პლატფორმაზე აქტიურად ხდება ტურისტული სიახლეების, ლოკაციების და ახალი ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის განთავსება მათი პოპულარიზაციის მიზნით. ასევე შეიქმნა ორენოვანი ტურისტული ონლაინ- ჟურნალი „ბაღდათური ვოიაჟი“.

ტურისტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების დამყარების მიზნით: ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ლიეტუვის რესპუბლიკის კაიშიადორის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი;

შემდგომში ურთიერთობის გაღრმავების მიზნით მუნიციპალიტეტში სტუმრად იმყოფებოდა გერმანიის რესპუბლიკის ზალცლანდის ოლქის დელეგაცია. დაისახა სამომავლო გეგმები სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობაზე.

ტურისტული პოტენციალის განვითრების ხელშეწყობის მიზნით 4 – 6 ივლისს კავკასიის მთიანი რეგიონების (მდგრადი კავკასია) განვითარების სამეცნიერო ქსელის სამდივნოს ორგანიზებით, ქ. ქუთაისში, აკაკი

წერეთლის სახელმწიფო უნივერსტეტში, გაიმართა კავკასიის მთის მესამე ფორუმი, თემაზე: "ტრანსდისციპლინურობა მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის: კავკასიელ მეცნიერთა როლი". ფორუმში ბაღდათის მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა საინფორმაციო სტენდი თემაზე 'ბერდ ვოჩინგის (ფრინველებზე დაკვირვება) განვითარების პერსპექტივა და შესაძლებლობები ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

2023 წლის 19-22 სექტემბერს მონაწილეობა მივიღეთ ქ .ბათუმში ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებულ გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალში.

ტურიზმის სფეროშიო ჩართული მეწარმეების ხელშწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტოვობები:

მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, რამდენიმე ტურისტულ ობიექტთან განთავსდა ორენოვანი ტურისტული ბანერი და გზის მაჩვენებლები;

მუნიციპალიტეტში ღვინის ტურიზმის განვითრების ხელშწყობის მიზნით, ჩვენი ორგანიზებით იმერელ მეღვინეებს და მემარნეებს ჩაუტარდათ სასწავლო პროგრამა - „ღვინის ტურიზმის პრაქტიკული კურსი" (ვაზის ენდემური ჯიშები, ღვინის მოწოდების სერვისი, მარნის ტიპები, ბრენდირება);

მუნიციპალიტეტის ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციად ქცევის ხელშემწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვაა ღონისძიებები და ფესტივალები:

19 ივლისს მოეწყო ღვინის ფესტივალი ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ მუზეუმის ეზოში, ასევე მოეწყო ღვინის დახურული კონკურსი სადაც ღვინის ექსპერტმა შეაფასა ბაღდათელი მეღვინეების ღვინოები და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები;

20 ივლისს, ჩვენი მხარდაჭერითა და კოლეჯ „იბერიას" ორგანიზებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში გაიმართა ღონისძიება -- „ღვინო და მაიაკოვსკი"'

28-30 ივლისს პირველად ბაღდათის მუნიციპალიტეტში გაიმართა სამ დღიანი ველო ფესტივალი;

ოქტომბრის თვეში სოფელ ხანში გაიმართა სპორტულ-გასართობი ფესტივალი „ხანის დრიფტი".

სოფლის მეურნეობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება კოორდინაციას უწევს სოფლის მეურნეობის განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებას და აქტიურად თანამშრომლობს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების ჩასატარებლად, ძირითადად კერძო სექტორიდან, მობილიზებული იყო 36 ერთეული სხვადასხვა სახის ტრაქტორი, (23 ერთეული „ბელარუსი", 3 ერთეული „კ-700" და ერთი ერთეული „ტ-100"). დამუშავებული და დათესილი მიწის ფართობმა შეადგინა 1748 ჰა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით გაცილებით მეტია-2022 წ-ს მოხნული და დათესილი მიწის ფართობი შეადგენდა 1397ჰა-ს. მაგრამ მიუხედავად გარკვეული მატებისა, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მთლიანი სახნავ-სათესი ფართობის (5267ჰა) ათვისების მდგომარეობა მაინც საკმაოდ დაბალია და შეადგენს 33%-ს, რაც ძირითადად გამოწვეულია ტექნიკის სიმცირითა და მომსახურების ხარჯების უკონტროლო ზრდით.

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი"-ის კუთხით, ბაღების გაშენების კომპონენტში, გარკვეული აქტიურობა შეინიშნება დაფნის კულტურის გაშენების მიმართულებით-14 ბენეფიციარის მიერ უკვე

გაშენებულია ან გაშენების პროცესშია 53 ჰა ფართობის პლანტაციები, შედარებით მცირე ფართობზე გაშენდა ტყემლის, ქლიავის, თხილისა და კაკლის კულტურები.

მერძევეობის მოდერნიზაციის პროგრამაში ჩართულია 3 ბენეფიციარი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში სოფ.ვარციხეში აიგო 20ტ. ტევადობის სამაცივრე მეურნეობა.

გრძელდება ბრძოლა აზიურ ფაროსანასთან. ამ მიზნით წლის დასაწყისში მერის ბრძანებით შეიქმნა შტაბი 6 კაცის შემადგენლობით, რომელიც კოორდინაციას უწევდა მიმდინარე სამუშაოებს ამ კუთხით. ფაროსანას გავრცელების მასშტაბის განსაზღვრის მიზნით ტერიტორიულ ერთეულებში დაყენებული იყო 75 ფერომონი, რაც საშუალებას იძლეოდა გვეკონტროლებინა ფაროსანას გავრცელების ინტენსივობა და ჩაგვეტარებინა შესაბამისი სამუშაოები.

2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან სულ შემოსულია 186 მომართვა და კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილია სათანადო დონეზე და პასუხი გაცემულია შესაბამისი ვადების დაცვით. სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული საგენტოდან“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის მიღების მოთხოვნით სულ შემოსულია 18 მომართვა, აქედან 13-ს მიეცა თანხმობა, 4 ლიცენზიანტს სხვადასხვა ვადით გაუგრძელდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვატარებდით შეხვედრებს და კონსულტაციებს ფერმერებთან, მეღვინეებთან, და სოფლის მოსახლეობასთან, ხდებოდა მათი ინფორმირება სახელმწიფო პროგრამებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების შესახებ. ფერმერები და საოჯახო მარნების წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ფესტივალებსა და გამოფენა-გაყიდვებში, პროფესიონალი სპეციალისტების მოწვევით ტარდებოდა ტრენინგები სოფლის მეურნეობის პრობლემური საკითხების გასაშუქებლად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 17 ნოემბრის N:66223212 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული „ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2027 წ.“ გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზნებიდან როგორიცაა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება, სეპარირება, კომპოსტირებისა და ტრანსპორტირების ეფექტურობის გაუმჯობესება დაწყებულია ხელშემწყობი პროცესები. მაგალითად როგორიცაა: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის და ნარჩენების სწორად და ეფექტურად მართვის მიმართულებით. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში მერიამ შეიძინა მყარი ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი 10 ცალი ურნა, რომლებიც განლაგდა საპილოტე ლოკაციებზე, ამის საფუძველზე ასევე მოხდა ელექტრო წნეხის ჩამოტანა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პლასტიკის, მუყაოს, მაკულატურისა და ალუმინის ქილების დაწნეხვა. აღნიშნული ელექტრო წნეხი უკვე მოქმედებაშია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე სისტემატურად ტარდებოდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები: 22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს, ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელსაც ასევე ჰქონდა საგანმანათლებლო დატვირთვა იმ კუთხით, რომ ორგანიზატორებთან და სკოლის პედაგოგებთან ერთად აქციაში ჩართული იყვნენ სკოლის მოსწავლეები.

22 აპრილს ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქცია, დასუფთავდა აჯამეთის აღკვეთილის მიმდებარე ტერიტორიები, აღნიშნულ აქციას ასევე ჰქონდა საგანმანათლებლო დატვირთვა რადგან თავიანთი დიდი სურვილითა და ენთუზიაზმით მასში მონაწილეობა მიიღეს ბაღდათის N2 საჯარო სკოლის ეკო-კლუბის ბავშვებმა პედაგოგთან ერთად.

16 სექტემბერს ჩატარდა მსოფლიო დასუფთავების დღისადმი მიძღვნილი აქცია, დასუფთავდა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიები.

განათლების, კულტურის და სპორტის სფერო

კულტურის სფეროს მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო და განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთაგან პირველ რიგში მნიშვნელოვანი და გამოსაყოფია ბაღდათობის დღესასწაული, რომელიც გასულ წელს ძალზედ მასშტაბურად აღინიშნა. ღონისძიებამ შეიძინა ფესტივალის სახე, სადაც სამი დღის განმავლობაში გაერთიანდა მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ღვინის ფესტივალი, რუსთაველის თეატრის სპექტაკლის ჩვენება და უშუალოდ ტრადიციული დღესასწაული „ბაღდათობა“, სადაც წარმოდგენილი იყო კულტურის, ხელოვნების, სპორტის და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედებები და გამოფენა-გაყიდვები, ასევე განხორციელდა ბაღდათის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტი მასპინძლობდა გერმანიისა და ლიტვის ქალაქების ხელმძღვანელთა დელეგაციას და გაფორმდა ამ ქალაქებთან დამეგობრების მემორანდუმი.

მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მთავრობის კანცელარიის ორგანიზებით გამართული საახალწლო ღონისძიება და „ზაფხულის დღეები“, სადაც ადგილობრივ მეწარმეებთან და შემსრულებლებთან ერთად, დედაქალაქიდან ჩამოსულმა ესტრადის ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა.

ასევე გამოვყოფ ბაღდათის სახალხო თეატრის მიერ დადგმულ ლიტერატურულ-თეატრალურ კომპოზიციას „მაიაკოვსკი“, რომელიც პოეტის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიდგა. პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ასევე გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ღვინო და მაიაკოვსკი“.

გარდა ამისა წლის განმავლობაში განხორციელდა კიდევ უამრავი სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს რევაზ ლაღიძის 102 წლის იუბილის აღნიშვნა.

სპორტის სფეროს მიმართულებით მნიშვნელოვანია ის რომ წლის განმავლობაში მუნიციპალური შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთის, ფრენბურთის და მაგიდის ჩოგბურთის განხრით, სადაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით 300 მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ტურნირები იმართებოდა არა მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე, არამედ სოფლებშიც.

ტურნირების ჩატარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც რომ წლის დასაწყისში რეაბილიტირდა ოთხი სტადიონი. ორი ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის სტადიონი, ერთი ასფალტისსაფარიანი საკალთბურთო სტადიონი და ერთი ბუნებრივსაფარიანი სტადიონი სოფ. დიმში. მოედნებზე ასევე მოეწყო განათებების ახალი სისტემები, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების გააქტიურებას, რომლებიც ღამის განმავლობაშიც სარგებლობენ აღნიშნული სტადიონებით.

ზაფხულსა და შემოდგომას იმერული ტურიზმის კლუბთან და კავკასიის ველო ქსელთან თანამშრომლობით ჩატარდა „ველოფესტივალი“ და „ხანის დრიფტი“ ხელნაკეთი საგორიალოებით, სადაც ადგილობრივებთან ერთად მონაწილეობას იღებდა 200 მდე პროფესიონალი თუ მოყვარული სპორტსმენი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან იყვნენ ჩამოსული.

აღნიშვნის ღირსია „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, რომელიც 2015 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება და ყოველწლიურად შეჯიბრებები ტარედება სპორტის შვიდ სახეობაში, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში, საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის.

ასევე აუცილებლად აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ გასული წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ფინანსური თუ ტექნიკური საკითხების განსაზღვრა ბაღდათის საფეხბურთო გუნდთან დაკავშირებით, რომელიც დადებითად გადაწყდა და 2024 წლის სეზონიდან ბაღდათის „საირმე“ კვლავ იასპარეზებს რეგიონული ლიგის გათამაშებაში.

განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ფაქტია ის რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ოთხმა აბიტურიენტმა შეძლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში ას პროცენტიანი გრანტის მოპოვება, ასევე გვყავდა 70 და 50 პროცენტიანი გრანტის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც წახალისების და მოტივაციის ამაღლების მიზნით ფულადი პრემიით დავაჯილდოვეთ.

ასევე აღსანიშნავია ფოტოკონკურსისა და ესეების კონკურსის გამართვა თემაზე „საქართველო“, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც ასამდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას. კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება შედგა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

27 ოქტომბერს აღინიშნა „მასწავლებლის ეროვნული დღე“, სადაც 85 წლის ზემოთ მყოფ ღვაწლმოსილ პედაგოგებს საკუთარ სახლებში ვესტუმრეთ, მივულოცეთ და გადავეცით სიმბოლური საჩუქრები.

ახალგაზრდული მიმართულებით პირველ რიგში გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ შემუშავდა და ჩამოყალიბდა ახალი ფინანსური კოდი სახელწოდებით: „ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება“, რომლის ფარგლებში გასულ წელს შემოვიდა 10 განაცხადი, რომლიდანაც ოთხი ინიციატივა იქნა ჩვენს მიერ დაფინანსებული.

ასევე გამოვყოფ ახალგაზრდული საბჭოს აქტიურ მუშაობას, რომელიც მოგეხსენებათ ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული წევრებისაგან შედგება. გასულ წელს მოხდა საბჭოს გადახალისება, აირჩა ახალი თავმჯდომარე და არჩევნების გზით მოხდა ყველა სოფელში ახალი წევრების არჩევა, რაც იმედს მაძლევს კიდევ უფრო გააააქტიურებს საბჭოს საქმიანობას. ასევე საბჭოს აქტიური ახალგაზრდა ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზაცია ,,ჰელფინგ-ჰენდის” ორგანიზებით, დასახელდა წლის საუკეთესო მოხალისედ, საბჭო აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოს ,,პოლიტიკის დოკუმენტის ახალგაზრდობის სტრატეგია 2023-2026“ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ასევე წელს ბაღდათის ახალგაზრდული საბჭო გახდა ,,საქართველოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის“ წევრი.

პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მიზნით დაფინანსდა და წარმატებით განხორციელდა პროექტი ,,ბაღდათის ახალგაზრდული კლუბი“, რომელშიც 40-მდე ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. პროექტი მიზნად ისახავდა ბაღდათში მცხოვრებ ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, მათ გააქტიურებას და ჩართულობას არაფორმალური საგანმანათლებლო პროცესებსა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში.

ზედამხედველობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური მისი დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს: ახორციელებდა კონტროლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე, მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე.

2023 წლის მანძილზე სამსახურს დაეწერა და რეაგირება მოახდინა 193 წერილზე, მათ შორის 70 წერილი განეკუთვნებოდა მოქალაქეთა განცხადებებს, 58 წერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს და 65 შიდა სამსახუროებრივს.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 9 სამშენებლო სამართალდარღვევა. აქედან 3 სამართალდარღვევა განეკუთვნებოდა უკანონო მშენებლობას, ხოლო 6 სამართალდარღვევა განეკუთვნებოდა სამშენებლო სანებართვო პირობების დარღვევას. რვავე კანონდამრღვევი დაჯარიმდა კანონის შესაბამისად. აქედან ერთმა გადაწყვეტილება დაჯარიმებაზე გაასაჩივრა მუნიციპალიტეტის მერთან და ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით აღნიშნული სამართალდამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობა იქნა აღიარებული უკანონოდ, ხოლო შემდგომ სამართალდამრღვევმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. პროცესი დღემდე არ შემდგარა.

სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ ჯამში შეადგინა 23000 (ოცდასამი ათასი) ლარი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღებულია და ვარგისად აღიარებულია 12 მშენებლობადასრულებული ობიექტი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გამოვლენილია 7 ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. მათ მიმართ გატარდა კანონის შესაბამისი ქმედებები. ჯარიმების სახით შემოსული თანხა ჯამში წლის მანძილზე შეადგენს 620 (ექვსას ოც) ლარს.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

2023 წლის განმავლობაში სამხედრო სამსახური ჩვეულ რეჟიმში ახორციელებდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევას ან გაწვევისაგან გადავადებას, რეზერვისტთა მოძრაობის თვალყურის დევნებას და შესაბამის რეაგირებას, მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მიღებული განცხადებების განხილვას და შესაბამისი პასუხების მომზადებას.

სამხედრო სამსახურის ძირითად ფუნქციად მოქალაქეთა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევაა, შესაბამისად მეტ ყურადღებას ამაზე გავამახვილებ.

2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა.

საგაზაფხულო გაწვევაზე გამოსაძახებელი იყო 246 წვევამდელი, გამოცხადდა 178 წვევამდელი, რომელთაგან 156 ისარგებლა გაწვევისაგან გადავადებით(მოსაკრებელი გადაიხადა 1 წვევამდელმა). ჩაირიცხა და დღესაც მსახურობს 4 წვევამდელი. მოძიებული ინფორმაციით გაირკვა რომ საზღვარი გადაკვეთილი აქვს 79 წვევამდელს, პოლიციას გადაეცა 27 წვევამდელი, სასამართლოს 7 წვევამდელი.

საშემოდგომო გაწვევაზე გამოძახებული იქნა 246 წვევამდელი, გამოცხადდა 184, აქედან გაწვევისაგან გადავადებით ისარგებლა 172-მა,(მოსაკრებელი გადაიხადა 5 წვევამდელმა) ხოლო გათავისფლდა 2 წვევამდელი. საზღვარი გადაკვეთილი ქონდა 72 წვევამდელს, გაწვეულია 4 წვევამდელი.

სულ აღრიცხვაზე დგას 860 წვევამდელი, 6270 რეზერვისტი, ხოლო აღრიცხვაზე ასაყვან 2007 წელს დაბადებულ მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენს 127 მოქალაქეს.

2024 წლი 01 იანვრიდან მიმდინარე რეორგანიზაციის საფუძველზე სამხედრო სამსახური აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის პოირველად სტრუქტურულ ერთეულს, ის დღეს იწოდება წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ბაღდათის მუნიციპალურ განყოფილებად და ფუნქციონირებას განაგრძობს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა მერიის 2 სამსახურის, 1 განყოფილების და 1 ა(ა)იპ-ის საქმიანობის შემოწმება და ჯამში შედგენილი იქნა 4 ობიექტის შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში.

აუდიტორულ შემოწმების შედეგად შესწავლილი და შეფასებული იქნა აუდიტის ობიექტების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო ქმედებები რამდენად შეესაბამებოდა მაწესრიგებელ კანონმდებლობას, წესებს, საუკეთესო გამოცდილებებს და რამდენად იქნა შესამოწმებელი ერთეულების მიზნები და ამოცანები მიღწეული და შესრულებული.

2023 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად, სულ აუდიტის სამსახურის მიერ ობიექტებზე ჯამში გაცემული იქნა 27 რეკომენდაცია. შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მიზანია, აუდიტის ობიექტში შიდა კონტროლის სისტემების დანერგვითა და გაძლიერებით, უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება რისკების მართვისათვის, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

ზემოხსენებული 4 აუდიტორული ანგარიშის გარდა 2023 წლის განმავლობაში საკრებულოს წინაშე შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ მომზადებული და წარდგენილი არის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. 2023 წლის განმავლობაში აუდიტის სამსახურის მიერ ხდებოდა I, II და III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების განხილვა. აღნიშნული შემოწმება გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესწავლას, დაგეგმვასა და შესრულებას შორის სხვაობების მიზეზების დადგენას, პრობლემების გამოვლენას და რეკომენდაციების გაცემას.

ასევე მერის მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტის შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილი იქნა ინსპექტირების დასკვნა.

2023 წლის ბოლოს სამსახურის მიერ, მოხდა წინა წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმება, შესაბამისად შედგენილია მონიტორინგის ანგარიში.

აუდიტის სამსახურის საქმიანობა წლის განმავლობაში არ შემოიფარგლებოდა, მხოლოდ აუდიტორული შემოწმებებით და ზემოაღნიშნული ანგარიშების შედგენით. აუდიტის სამსახურს ხშირი კომუნიკაცია აქვს მერიის სამსახურებთან და ა(ა)იპებთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა საკითხებზე და წამოჭრილ პრობლემებზე კონსულტაციების გაწევით, რჩევების მიცემით, აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით.

ადმინისტრაცია

2023 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ ანგარიშში არ არის ასახული, რადგან აღნიშნული თემა ცალკე საკითხად არის წარმოდგენილი საკრებულოში განსახილველად. თუმცა უნდა აღვნიშნო 2 მნიშვნელოვანი შესყიდვა, რომელიც განხორციელდა ჩვენს მიერ:

1. 2023 წლის 26 ივნისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვაზე სალიზინგო მომსახურეობის (მრავალწლიანი შესყიდვა) ფორმით ღირებულებით 529507 ლარი. ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე გაიმარჯვა სს „თიბისი ლიზინგმა“, რომელმაც ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად შემოგვთავაზa JCB 5X ექსკავატორ- დამტვირთველი, რომელიც ექსპლოატაციისათვის გადაეცა ააიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებას“. გადახდა შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად გადანაწილებულია 3 წელზე.

2. 2022 წლის 21 ივლისს ელექტრონული ტენდერი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნომრის ამომცნობი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოსაწყობად საჭირო ტექნიკის შესყიდვაზე თანმდევი მონტაჟით ღირებულებით 436870 ლარი. ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე გაიმარჯვა შპს „დელტა კონსალტინგმა“ , რომელმაც ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად მოგვაწოდა და დაამონტაჟა 23 ერთეული ნომრის ამომცნობი კამერა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 2023 წლის მაისის თვიდან და დღემდე მუშაობს გამართულად. შედეგად კამერების კონტროლირებად ტერიტორიაზე მინიმუმამდეა დასული ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა და მხოლოდ ადგილობრივ ბიუჯეტში ჯარიმის სახით მობილიზებულია 670 000 ლარზე მეტი თანხა.

საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილებამ 2023 წელს შესაბამისი კანონმდებლობისა და მერიის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყო საქმისწარმოების წარმართვა შემდეგი მიმართულებით:

მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათთვის კონსულტაციის გაწევა მერიაში არსებული სერვისებისა და მომსახურების შესახებ

ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, ასევე ფოსტით და ელექტრონული ფორმით შემოსული კორესპოდენციების აღრიცხვა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემებში შესაბამისი წესით დარეგისტრირება და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნა.

გასაგზავნი კორესპოდენციების რეგისტრაცია და ფოსტით, ელ. ფორმით ან სხვა დადგენილი ფორმით გაგზავნა, ასევე ადრესატებისთვის მიწოდების კონტროლი.

სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება კორესპოდენციის შესრულების შესახებ.

საარქივო დოკუმენტაციის განსაზღვრა და არქივისთვის გადასაცემად მომზადება.

საჯარო ინფორმაციის მომზადება.

საქმისწარმოების განყოფილება 2023 წელს დოკუმენტების აღრიცხვისა და დამუშავებისთვის იყენებდა ორ ელექტრონულ სისტემას “MSDA” და “MMS”

“MMS” პროგრამა ჩაშენებულია “MSDA”-ში და მოიცავს სოციალურ მიმართულებას ასევე მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭებისა და მასთან დაკავშირებული კორესპოდენციების აღრიცხვას.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქმისწარმოების განყოფილების მიერ ელექტრონული სისტემების გამოყენებით 2023 წლის პერიოდში დამუშავებული კორესპოდენციების შესახებ:

MSDA - სისტემაში აღრიცხული დოკუმენტების სტატისტიკა:

. **კანცელარიაში შემოსული კორესპოდენცია** (მომართვა, განცხადება) – 3085

. ელექტრონული წერილები - 1959

. მოქალაქის პორტალიდან შემოსული (ms.gov.ge) – 25

. ბრძანებები - 2137

. შიდა წერილი - 4849

. გასული კორესპოდენცია - (გასული წერილი; გასული პასუხი) – 5645

. **ვადაგადაცილებული მიმდინარე (დამუშავების პროცესში) –** 82 დოკუმენტი,

. ვადაგადაცილებით დახურული (შესრულებული) – 649

MMS - სისტემაში აღრიცხული დოკუმენტების სტატისტიკა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ინფორმაცია სოცილური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში 2023 წელს (mms სისტემაში აღრიცხული) განცხადებების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	პროგრამის დასახელება	დადებითად დასრ.	უარყოფ. დასრულებ.	სულ შემოსული
1	სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება.	651	72	723
2	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.	12	1	13
3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.	7	0	7
4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა			
5	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა (ერთჯ. ფინანს. დახმ.)	531	1	532
6	ვეტერანთა დახმარება	12	0	12
7	შ.შ.მ. პირთა დახმარება	84	1	85
8	ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	9	0	9
9	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	5	0	5
10	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	23	0	23
11	18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება	60	0	60
12	მარტოხელა მშობლის ფინანსური დახმარება	21	0	21
13	მრავალშვილიანი ოჯახების ფინასური დახმარება	71	0	71
14	მედიკამენტების დაფინანსება	550	14	564
15	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირება და აბილიტაცია	9	0	9
16	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება	1	0	1
	სულ	2308	115	2423

2023 წლის განმავლობაში, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გარკვეული პერიოდულობით, მუდმივად მზადდებოდა სტატისტიკური ინფორმაცია ვადაგადაცილებული კორესპოდენციის შესახებ, რომელიც მიეწოდებოდა სამსახურის უფროსებს, ასევე შიდა აუდიტის სამსახურს შემდგომი შესწავლისა და ანალიზისათვის.

2023 წელს დამუშავდა და ცენტრალურ არქივს გადაეცა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ - დოკუმენტაციის ნაწილი, 2016 წლის ჩათვლით.

2023 წელს განისაზღვრა შემდგომში დასამუშავებელი საარქივო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს მერიის შიდა არქივში დაცულ 2012 – 2013 წლების მატერიალურ მასალებს.

2023 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა **81** განცხადება, მათ შორის 45 ფიზიკური პირის განცხადება და 36 იურიდიული პირის მომართვა, ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია დროულად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

იურიდიული საკითხები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულმა განყოფილებამ 2023 წლის განმავლობაში დაამუშავა 138 კორესპონდენცია.

აღნიშნულ პერიოდში იურიდიულმა განყოფილებამ განიხილა ერთი ადმინისტრაციული საჩივარი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, აღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, უნებართვო მშენებლობისათვის მოქალაქე დაჯარიმდა 8000 (რვა ათასი) ლარით.

იურიდიულმა განყოფილებამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დეტალურად შეისწავლა საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, ასევე ჩატარდა ზეპირი მოსმენის სხდომა, რის შედეგადაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ არ დააკმაყოფილა წარმოდგენილი საჩივარი და ძალაში დატოვა გასაჩივრებული აქტი.

ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი აქტი, რომელიც მხარემ გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. იურიდიულმა განყოფილებამ წარმოდგენილ სარჩელზე მოამზადა შესაგებელი (პასუხი), რომელიც გადაიგზავნა საქმის განმხილველ სასამართლოში (აღნიშნულ საქმეზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ამ დრომდე არ ჩანიშნულა მოსამზადებელი სხდომა).

2023 წელს, იურიდიულმა განყოფილებამ აღძრა სამოქალაქო სარჩელი, შპს „ბა-ნის“ წინააღმდეგ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის - 1409 (ათას ოთხას ცხრა) ლარის ანაზღაურების მოთხოვნით (აღნიშნულ საქმეზე ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში ამ დრომდე არ ჩანიშნულა მოსამზადებელი სხდომა).

გასულ წელს, ასევე დასრულდა ერთი სამოქალაქო დავა - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 18 ოქტომბრის სამოქალაქო სარჩელი საიჯარო ქირის დაკისრების თაობაზე - მოპასუხე ეკატერინე სირბილაძის წინააღმდეგ, ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მერიის სარჩელი და მოპასუხე მხარეს დაევალა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 4192.5 ლარის დაფარვა.

საანგარიშო პერიოდში, იურიდიულმა განყოფილებამ, ასევე განიხილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის უფროსის ორი შიდა კორესპონდენცია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული, ორი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე. შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა მოიჯარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, საიჯარო თანხის გადაუხდელობა.

იურიდიულმა განყოფილებამ ერთ-ერთ მოიჯარესთან - ფიზიკურ პირთან ქეთევან მაღლაკელიძესთან, აწარმოა მოლაპარაკება, რის საფუძელზეც მოიჯარემ სრულად დაფარა არსებული დავალიანება - 1067.5 (ათას სამოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი, შესაბამისად, აღნიშნულ პირთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება არ შეწყვეტილა.

მეორე მოიჯარესთან - ფიზიკურ პირთან მტრედინა ქარჩხაძესთან, პირველ ეტაპზე, ვერ მოხერხდა კომუნიკაციის დამყარება, შესაბამისად, საიჯარო დავალიანების - 1441.5 (ათას ოთხას ორმოცდაერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადაუხდელობის გამო შეწყდა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გადაეგზავნა მოიჯარეს რეგისტრირებულ მისამართზე, თუმცა გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა. გარკვეული პერიოდის შემდგომ იურიდიულმა განყოფილებამ შეძლო მოიჯარესთან სატელეფონო გასაუბრება. მოიჯარემ აღიარა არსებული დავლიანება, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო, მოითხოვა დავალიანების ეტაპობრივად გადახდა. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ამ ეტაპზე მოიჯარეს დაფარული აქვს არსებული დავალიანების მეოთხედი და აქტიურად აგრძელებს, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, თანხის დაფარვას.

საანგარიშო პერიოდში იურიდილმა განყოფილებამ განიხილა ა(ა)იპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ მომართვები იმ იურიდიულ პირთა შესახებ, რომლებიც არ იხდიდნენ გასული წლების დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანებას. იურიდიულმა განყოფილებამ ურჩი გადამხდელების გარკვეულ ნაწილთან, კერძოდ 20 იურიდიულ პირთან აწარმოა მოლაპარაკება. მოლაპარაკების საფუძველზე აღნიშნულმა პირებმა საერთო ჯამში დაფარეს დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანე - 7457.88 (შვიდი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი.

გასულ წელს იურიდიულმა განყოფილებამ, ასევე უზრუნველყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ რეორგანიზაცია (დაყოფა). რეორგანიზაციის პროცესში იურიდიულმა განყოფილებამ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, უზრუნველყო ყველა საჭირო პროცედურის გავლა, შემუშავდა რეორგანიზაციის გეგმის პროექტი, რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება”;

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“;

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება"

იურიდილმა განყოფილებამ შეიმუშავა თითოეული აიპის წესდება, სადამფუძნებლო შეთანხმება და ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც რეგისტრაციის მიზნით გადაიგზავნა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააააგენტოში. რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდგომ იურიდიულმა განყოფილებამ ახლად დაფუძნებულ აიპებს გაუწია სამართლებრივი დახმარება, დამტკიცდა საშტატო ნუსხები, თითოეულ მათგანს გაუაქტიურდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა და განხორციელდა ყველა ის აუცილებელი პროცედურა, რაც საჭირო იყო ახლად დაფუძნებული აიპების დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულმა განყოფილებამ მოამზადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ქირავნობის ხელშეკრულებები საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ 2023 წელს 28 ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით.

რაც შეეხება პირის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობას, 2023 წლის ჭრილში აღნიშნულმა კომისიამ განიხილა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთი შუამდგომლობა, რომელიც დაკმაყოფილდა და სათანადო სამართლებრივი აქტები გადაეგზავნა უფლებამოსილ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს.

მინდა შევეხო გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით იმ აქტივობებს, რაც განხორციელდა 2023 წელს.

გასულ წელს, გენდერული თანასწორობის კუთხით, მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ჩართულობით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობა, კერძოდ:

გასული წლიდან სოფელ დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი ზედა და ქვედა დიმი და საიმედო) განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი, რაც ემსახურება ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. საგანმანათლებლო კურსი მოიცავდა შემდეგ 3 მიმართულებას: პოლიმერული თიხის ნაკეთობების შემსწავლელი კურსი, ბუღალტრული აღრიცხვის კურსი და სტილისტობის შემსწავლელი კურსი;

აღნიშნული კურსები დაიგეგმა ქალთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ქალების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. კვლევა ჩატარდა გენდერული როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით. საგანმანათლებლო კურსის დასრულებისა და პროექტების მართვის კურსის გავლის შემდეგ ქალებს მიეცათ შესაძლებლობა დაეწერათ მცირე სახის პროექტი და მიეღოთ დაფინანსება.

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოწვეულ ყოფილ ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს - ჯამში 10 ქალს, გადაეცა მცირე ფულადი ჯილდო.

მხიარულთა და საზარიანთა შიდა სასკოლო ჩემპიონატში მონაწილე გოგონების მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით, გამოვლინდა ორი საუკეთესო გოგო მონაწილე, რომლებსაც გადაეცათ ფულადი ჯილდო.

გასული წლის პირველ ივნისს სოფელ საკრაულასა და ზეგანში მცხოვრები ბავშვებისათვის დაიგეგმა თოჯინებისა და ფორუმ თეატრის ჩვენება, აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ მოხდა იქ მყოფი პატარების ტკბილეულით გამასპინძლება.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომში დაღუპულთა დედებს სიმბოლურად გადაეცათ ტკბილეულის პაკეტები და თაიგულები.

გასულ წელს, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) მხარდაჭერით, ბაღდათის მუნიციაპლიტეტი ,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ'' ევროპულ ქარტიას შეუერთდა.

სოფელ ფერსათში ერთ-ერთ მარანში აღინიშნა სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე.

ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მოიხატა კოსტავას N2-ში მდებარე კორპუსის კედელი. ამავე კამპანიის ფარგლებში ადგილობრივ მორაგბეთა კლუბ ,,დიმნასთან“ ერთად ჩატარადა ცნობიერების ამაღლების აქცია სლოგანით ,,იცხოვრე ძალადობის გარეშე“.

გასული წლიდან მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისია.

საორგანიზაციო განყოფილება

ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების მიერ 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 30 დეკემბრამდე შემოსული და განხილულია 3075 დავალება.

2023 წელს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის 24 ადმ. ერთეულისთვის (სოფლისთვის) გამოყოფილი იყო 346 000 ლარი, რისთვისაც დაიგეგმა და ჩატარდა 18 სოფლის კრება, სადაც სოფლის მოსახლეობის მიერ წამოჭრილი და მხარდაჭერილი იყო 40 ზე მეტი საპროექტო წინადადება, რომელიც დაპროექტებული და შესრულებულია 100 %.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ საქმიანობაზე

2023 წელს ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ მუშაობის შესახებ 2023 წელს კომისიაზე განსახილველად შემოვიდა 373 განცხადება.

საცხოვრებელი ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 19 განცხადება. დაკმაყოფილდა ათი განცხადება.

საცხოვრებელი ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ შემოვიდა 77 განცხადება.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 24 ბენეფიციარს საცხოვრებელი ბინის ქირით.

საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის შესახებ შემოვიდა 52 განცხადება.

7 განცხადება დაკმაყოფილდა, დახმარების მიზნით გაიცა ფულადი დახმარება 8 000 (რვაათასი) ლარის ოდენობით.

18 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.

საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 43 განცხადება.

4 მოქალაქეს გაეწია ფულადი დახმარება 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

4 მოქალაქეს გადაეცა მეორადი მასალა.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 183 განცხადება.

18 მოქალაქეს, დახმარების მიზნით გდაეცა თანხა 21 700 (ოცდაერთი ათას შვიდასი) ლარი.

38 მოქალაქეს გადაეცა საცხოვრებელი სახლის გადახურვისთვის საჭირო მასალები.

3 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საცხოვრებლით.

12 განცხადება შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილი იქნა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში.

18 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.

13 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადეგზავნა გეოლოგიურ სამსახურს.

ხანძრით მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 14 განცხადება.

დაკმაყოფილდა 12 განცხადება, ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით გაიცა თანხა 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის შესახებ შემოსულია 19 განცხადება.

5 მოქალაქის დახმარების მიზნით გაიცა თანხა 3 400 (სამიათას ოთხასი) ლარის ოდენობთ.

3 მოქალაქეს გადაეცა სამშენებლო მასალები.

1 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.

საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 7 განცხადება. დაკმაყოფილდა 1 განცხადება, დახმარების მიზნით გაიცა თანხა 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

2 განცხადების დაკმაყოფილების მიზნით, შესაბამისი სამსახურების მიერ მიმდინარეობს საჭირო ღონისძიებების გატარება.

1 განცხადება შესწავლის მიზნით გადაეგზავნა გეოლოგიურ სამსახურს.

ხე მასალის გამოყოფის შამდგომლობის შესახებ, შემოსული განცხადება დაკმაყოფილდა.

მეორადი მასალით უზრუნველყოფის შესახებ შემოსული განცხადება დაკმაყოფილდა.

ადამიანური რესურსების მართვა

საჯარო კონკურსები:

2023 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ hr.gov.ge გვერდის მეშვეობით, პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადდა 14 კონკურსი, მათ შორის 3 ღია, 2 - დახურული და 9 შიდა კონკურსი. აღნიშნული კონკურსები მომზადებული და ჩატარებული იქნა უხარვეზოდ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. ამასთანავე, ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, 2023 წელს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების კონკურსით დაინიშნა 2 პირი, რომელთაც განესაზღვრათ ხელმძღვანელები და სამუშაო გეგმის მიხედვით დაწესებულებაშისტჟირებას გაიარეს 6 თვის ვადით, რის შემდგომაც მათ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

პროფესიულ საჯარო მოხელეთა სწავლება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2023 წლის სასწავლო გეგმით გაწერილი პროგრამები თითქმის სრულად იქნა ათვისებული, ჩვენ მიერ დადგენილი პროგრამისა და აგრეთვე, სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების ფარგლებში სულ გადამზადდა 55 მოხელე, მოხელეთა სწავლებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან გაიხარჯა 13 953 ლარი.

გასულ წელს, პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის მიზნით, საპილოტე რეჟიმში, ელექტრონული ფორმატის (გამოკითხვის) მეშვეობით განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა, რაც გულისხმობს სასწავლო თემების იდენტიფიცირებას და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამის დაგეგმვას მიმდინარე 2024 წლისათვის.

დომინირებდა ორი ტიპის კითხვარი-ა)მუნიციპალიტეტის მერიის თითოეული საჯარო მოხელის (მენეჯერების ჩათვლით) პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და ბ) მენეჯერთა მხრიდან ორგანიზაციული საჭიროებების კვლევა.

მონაცემთა ანალიზით გაირკვა, რომ დაწესებულების 82 საჯარო მოხელიდან სტატისტიკურად ჩაიწერა 78 რესპონდენტის პასუხი, რომელთა საერთო რაოდენობის 77.5 პროცენტს ბოლო 2 წლის განმავლობაში გავლილი ჰქონდა ტრენინგი/კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი, 70.1% ადასტურებდა, რომ ტრენინგის გავლის შემდეგ ამაღლდა მათი კვალიფიკაცია, 47.1% თვლიდა, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი ტრენინგის გავლის შემდეგ საგრძნობლად ამაღლდა, 48.5%კი -შედარებით ამაღლდა. დაწესებულების თანამშრომელთა 30% თვლის, რომ ძალიან ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგის გავლა სამუშაოს უკეთესად შესრულებისთვის, (49.4 % ისთვის მხოლოდ სასურველია), ხოლო ზოგადად სწავლებაზე უარს აცხადებს 20.3 % (სულ 16 მოხელე, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არასახარბიელო მაჩვენებელია). ორგანიზაციული საჭიროებების კითხვარი შეავსო დაწესებულების 20 მენეჯერმა, პრიორიტეტულ სფეროებად გამოიკვეთა ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ 2024 წლის სასწავლო პროგრამაში ამ მიმართულებით დასაქმებულების გადამზადება იქნება პრიორიტეტი.

პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება-2023 წელს, ჯამში, საბოლოო შეფასებას დაექვემდებარა 77 მოხელე და 1 გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელე. პროფესიულ საჯარო მოხელეების შეფასების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საუკეთესო შეფასება დაიმსახურა 54-მა, შეფასება "კარგი" 21-მა მოხელემ, მოხელის კლასი მიენიჭა 34

მოხელეს, მათ შორის მე-3 კლასი-2-ს, მე-2 კლასი-22 -ს და პირველი კლასი-10 მოხელეს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები მთელი წლის მანძილზე თანმიმდევრულად იტვირთებოდა, როგორც ოფიციალურ Facebook-გვერდზე „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია“ და ვებგვერდზე www baghdati.gov.ge. აღნიშნული ვებგვერდი განახლებულია და დატვირთულია სრული სერვისით. მოქალაქეებს საშუალება აქვთ გამოაგზავნონ პეტიცია და მუნიციპალიტეტს გაუზიარონ

თავიანთი შთაბეჭდილებები უკუკავშირის პლათფორმის საშუალებით. ვებგვერდზე ინფორმაცია განახლებადია, რაც დადებითად აისახება თვითმმართველობის ინდექსისი ხარისხზე. გასულ წელს მუნიციპალიტეტს საინფორმაციო მომსახურება გაუწია საგენტო „ipress.ge” “xnews.ge” “act2”ge, და ტელეკომპანია „რიონმა“. ასევ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები და ღონისძიებები გააშუქა ცეტრალურმა ტელევიზიებმა. აღნიშნულ საინფორმაციო სააგენტოებთან და ტელევიზიებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან მათი საშუალებით საზოგადოება ეცნობა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ Facebook- ზე ყოველდღიურად შემოდის მოქალაქეების შეტყობინებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც პასუხების გაცემა დროულად ხდება.

მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართუულებით ყოველდღიურად გვაქვს კომუნიკაცია, როგორც სამხარეო ადმინისტრაციასთან, ასევე მთავრობის ადმინისტრაციასთან, სამინისტროებთან და მედიასთან.

მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ჩართულია მუნიციპალიტეტის ყველა სახის ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე დავსძენ, რომ გაწეული სამუშაო საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა საკმარისი არ არის, რადგან მომავალში კიდევ უფრო ბევრ გამოწვევასთან და მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილებასთან მოგვიწევს გამკლავება ჩვენი გუნდის მეშვეობით.

გმადლობთ ყურადღებისათვის!!!